საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1527 2016 წლის 21 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და ერთობლივ საწარმოს - Todini Costruzioni Generali S.p.a. - Takenaka Civil Engineering & Construction Co. Ltd-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) და ერთობლივ საწარმოს - Todini Costruzioni Generali S.p.a. - Takenaka Civil Engineering & Construction Co. Ltd-ს შორის აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მიზნით, 2012 წლის 25 აპრილს გაფორმებული EWHIP/CW/ICB-02 ხელშეკრულების და 2013 წლის 11 მარტს გაფორმებული EWHIP/CW/ICB-03 ხელშეკრულების შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ და „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით

ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მომზადებული იურიდიული დასკვნა, აღნიშნული ხელშეკრულებების შეწყვეტასთან დაკავშირებული ფაქტობრივი და სამართლებრივი რისკების წინასწარი შეფასების თაობაზე.

2. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა დეპარტამენტს, ერთობლივი საწარმოს - Todini Costruzioni Generali S.p.a. - Takenaka Civil Engineering & Construction Co. Ltd-ის მიერ დეპარტამენტს და ერთობლივ საწარმოს - Todini Costruzioni Generali S.p.a. - Takenaka Civil Engineering & Construction Co. Ltd-ს შორის 2012 წლის 25 აპრილს გაფორმებული EWHIP/CW/ICB-02 ხელშეკრულებით და 2013 წლის 11 მარტს გაფორმებული EWHIP/CW/ICB-03 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების 2016 წლის 31 ივლისამდე განუახლებლობის შემთხვევაში, დაიწყოს აღნიშნული ხელშეკრულებების შეწყვეტის პროცედურები.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი